

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N3

ქ.თბილისი

21 ნოემბერი, 2025 წელი

15⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბექა დავითულიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ლევან ჯაფარაძე

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე

ბექა ოდიშარია

ლევან არველაძე

შალვა ოგბაიძე

ალექსანდრე ასათიანი

ვალერიან პაპუაშვილი

ირაკლი ბენდელიანი

შალვა პერანიძე

კახა ბერაძე

მიხეილ რეხვიაშვილი

ნოდარ ბოკერია

შალვა სუთიაშვილი

ბექა გელენავა

ვახტანგ სურგულაძე

გიორგი გვენეტაძე

დავით ფანჯაკიძე

მარიამ გრიგოლიშვილი

გიორგი ქარდავა

გიორგი დოხტურიშვილი

შოთა ქევხიშვილი

ნინო ვარდოსანიძე

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი

კონსტანტინე ზარნაძე

ზურაბ ჩიკვილაძე

ნიკოლოზ კახეთელიძე

ცოტნე ჩიქვინიძე

ვაჟა კოკია

ოთარ ჩრდილელი

ლალი კოლომიკოვი

გივი ჩხარტიშვილი

ჯაბა კოდუა

ავთანდილ ცინცაძე

კახაბერ ლაბუჩიძე

ზაქარია წიკლაური

შალვა მაისურაძე

ქეთევან ჭავჭავაძე

ბექა მენთეშაშვილი

დავით ჭელიძე

ბექა მიქაუტაძე

მამუკა ხაბარელი

ალექსანდრე მუკათარიძე

დავით ხაბეიშვილი

გურამ ნიკოლაშვილი

გიორგი ხუროძე

არჩილ ნიჟარაძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ქეთევან კანდელაკიშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი გიორგი კობიაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი ნინო ბაგაშვილი.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ. ისაუბრა თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტზე, აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიებმა განიხილეს ბიუჯეტის პროექტი, რომელიც დღეს, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად, შენიშვნებით დაუბრუნდება თბილისის მერიას და იმედი გამოთქვა, რომ ბიუჯეტის საბოლოო პროექტში გათვალისწინებული იქნება საკრებულოს რეკომენდაციები. ზურაბ აბაშიძე გამოეხმაურა კომპანია „Eagle Hills“-ის საქართველოში შემოსვლას, რომელიც, მისი თქმით, განახორციელებს უპრეცედენტოდ დიდ, 6.6 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიციას, რაც ძალიან ბევრ სიკეთეს მოუტანს, როგორც ჩვენს ქვეყანას, ასევე, დედაქალაქს და რეგიონებს. აქვე აღნიშნა, რომ ხსენებულ ინვესტიციასთან დაკავშირებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ძალიან დეტალური და კონკრეტული ინფორმაცია მიაწოდა საზოგადოებას, რათა გაქარწყლებულიყო ის ეჭვები და სპეკულაციები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ბოლო პერიოდში. საუბრის ბოლოს, პროექტის წარმატებით განხორციელება ისურვა და განაცხადა, რომ ეს პროექტი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ გაიზრდება ბიუჯეტი, დასაქმდება უამრავი ადამიანი და ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლუკა მაძამიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის, შენიშვნებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერისთვის დაბრუნების თაობაზე“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

3. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის N11-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ქეთევან კანდელაკიშვილი

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის N13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

5. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლება N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.009.038.01.507) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

6. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3 მიკრო რაიონის კორპუსი N30-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.024.009.01.526) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

7. „ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა N62-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.006.003.01.543) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

8. „ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობი IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N34-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.009.189.01.030) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

9. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქ.N7-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.15.025.026) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

10. „ქალაქ თბილისში, ანაპის 414-ე დივიზიის ქ.N30ბ-ში მდებარე N10 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.12.02.020.019.01.01.010) და ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში დავარის ქ. N37-ში მდებარე N4 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.036.164.01.01.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

11. „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირზე, კომპლექსი N1-ის კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.35.005.012.01.514) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

12. „ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ.N12-ში მდებარე N171 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.197.01.03.171) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

13. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრორაიონის კორპუს N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ნ.გ.ბ.“-ს (ს/ნ. 405193678) (უფლებამონაცვლე - შპს „ბიოგრაფი ვაშლიჯვარი“ (ს/ნ. 405808979) შორის 2024 წლის 24 ივლისს გაფორმებულ „ქალაქ თბილისში შპს „ათორის“ (ს/ნ. 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერტის“ (ს/ნ. 404605094) შორის 2025 წლის 30 ივლისს გაფორმებული „2021 წლის 29 აპრილის Nე-582-1-26243 ხელშეკრულებითა და 2023 წლის 28 სექტემბრის შეთანხმებით წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად, ქ.თბილისში, ო.კაპანაძის ქუჩა N4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთის

საკადასტრო კოდი: N01.16.03.058.062) განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში ქონების მიმღებ პირთა ნაწილის განსაზღვრის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

16. „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი N31-ის წინ რეგისტრირებული 381 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.013.003) 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სილქ როუდ ბიზნეს ცენტრისთვის“ (ს/ნ. 203825851) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

17. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს ქ. N26ა-ში მდებარე 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.17.003.027) პირდაპირი განკარგვის წესით ლანა ყურაშვილისთვის (პ/ნ. 01024002962) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

18. „ქ.თბილისში, ერეკლე II-ის ქუჩაზე არსებული 1136 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.045.019) 55 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტიფლისისთვის“ (ს/ნ. 405247488) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

19. „ქ.თბილისში, ზაარბრიუკენის მოედანი N2-ის მიმდებარედ არსებული 76 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.035.006) 61 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტიფლის ფაბისთვის“ (ს/ნ. 405229792) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

20. „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი N32-ის მიმდებარედ არსებული 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.05.009.017) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „პირალოვისთვის“ (ს/ნ. 404385517) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

21. „ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი N14ა-ს მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.015.045) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვი. აი. პი. სტომატოლოგიისთვის“ (ს/ნ. 204954969) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

22. „ქალაქ თბილისში, კოსტავას ქუჩა N65-67-ის მიმდებარედ არსებული 44 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.041.091) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კენ კონსტრაქშენისთვის“ (ს/ნ. 405038418) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

23. „ქ.თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.039) 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იოანნა ზეროსთვის (პ/ნ. 89093012426 C/NER8053728) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

24. „ქ.თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.039) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით არუსიაკ არუთინიანისთვის (პ/ნ. 01017046735) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

25. „ქალაქ თბილისში დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 29 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ვერა დაბრუნდაშვილისთვის (პ/ნ. 01019019078) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 სექტემბრის N455 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

26. „ქალაქ თბილისში, ჩიტაიას ქუჩა N17-ში, მე-2 სართულზე არსებული 338.74 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: N01.16.06.006.008.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლისთვის“ (ს/ნ. 205270570) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

27. „ქალაქ თბილისში, ც.დადიანის ქუჩა N105-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.12.13.087.004.01.501) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დამოუკიდებელი ცხოვრების შშმ ქალთა ცენტრისთვის“ (ს/ნ. 400052134) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

28. „2009 წლის 20 აგვისტოს „დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი N264“-ით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

29. „მისამართზე - ქ.თბილისი, გორგასლის ქ. N34 (ს/კ: N01.18.09.004.059) არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულების მიზნით, გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ რიგი სამართლებრივი აქტების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

30. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, პატარძელის ქუჩის მიმდებარედ/ვაზისუბნის დასახლება, პატარძლის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.10.001.098; ფართობი - 2146 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

31. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, წყნეთის შესახვევი, N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.08.003.173; ფართობი - 1979 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

32. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქთბილისი, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა, N87-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.12.003.136; ფართობი - 1010 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

33. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ლევან გოთუას ქუჩა N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.13.003.053; ფართობი - 5311 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

34. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ევგენი ხარაძის ქუჩა, N18; ევგენი ხარაძის ქუჩა N18-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდები: NN01.11.12.019.039; 01.11.12.019.821; 01.11.12.019.817; 01.11.12.019.201; 01.11.12.019.823; 01.11.12.019.202; 01.11.12.019.820; 01.11.12.019.822; 01.11.12.019.809; ფართობი - 23921 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

35. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, ნუცუბიძის ფერდობის II, III, IV მიკრორაიონების მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.550, ფართობი - 5636 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის N39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

36. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

თანამომხსენებელი: სერგო ბირკაძე

37. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39 -18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

38. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, ნიკოლოზ მათიკაშვილის ქუჩა, N33-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.81.02.363.056) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

39. „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.20.030; N72.16.17.958) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

40. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში; ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.13.759; N81.02.13.892; N81.02.13.784; N81.02.13.692; N01.81.02.201.001; N01.81.02.201.002; N81.02.19.584; N81.02.13.760) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

41. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, თელეების მიწაზე; ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.33.172; N72.16.15.289; N72.16.33.068; N72.16.23.588; N72.16.23.589; N72.16.23.590) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

42. „ქალაქ თბილისში, ლევან ჩოხელის ქუჩა, N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.078) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

43. „ქალაქ თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა, N1; N3; ქალაქი თბილისი, ლისის ტბის ასასვლელი გზისა და ინტენსიფიკაციის გზის კუთხეში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.014.042; N01.14.16.014.451; N01.14.16.014.024) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

44. „ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიდ დიღომში, ტელევიზორების ქარხნის მიმდებარედ არსებულ N1/10/6/1/12 მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 13 დეკემბრის N20/754 ბრძანებით შეთანხმებული მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

45. „ქალაქ თბილისში, ალ.წულუკიძის ქ.N21-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (საყოფაცხოვრებო კომერციული ფართით) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის მოადგილის 2014 წლის 15 მაისის N1050 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

46. „ქალაქ თბილისში, კათოლიკოსი აბრაჰამ I-ის ქუჩა, N13; N15ა; N23ა; N21ა; N17ა; N16; N41; N39; N20; N18; N12; N10; N23; N25; N14; N21; N15; N19; N17-ში; ქალაქი თბილისი, დიღომი; ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის მეაბრეშუმეობის კვლევითი ინსტიტუტის ფართობების მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე; ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი, N41; N39-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.230; N01.72.14.014.858; N01.72.14.014.626; N01.72.14.014.629; N01.72.14.014.704; N01.72.14.014.264; N01.72.14.014.942; N01.72.14.014.242; N01.72.14.014.438; N01.72.14.014.816; N01.72.14.014.219; N01.72.14.014.339; N01.72.14.014.232; N01.72.14.014.225; N01.72.14.014.222; N01.72.14.014.262; N01.72.14.014.738; N01.72.14.014.987; N01.72.14.014.220; N01.72.14.014.677; N01.72.14.014.255) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023

წლის 25 აგვისტოს N397 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

47. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში; ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.19.902; N81.02.19.901; N81.02.19.216; N01.81.10.291.007; N81.02.19.217; N81.02.19.215; N81.02.19.071; N81.02.13.575; N81.02.13.701; N81.02.19.003; N81.02.19.070; N81.02.13.789; N81.02.13.790; N81.02.19.004; N81.02.13.955; N81.02.13.954; N81.02.19.635; N81.02.19.634; N01.81.02.294.001-ის ნაწილი) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N196 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

48. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში; ქალაქი თბილისი, სოფელი დიღმის ტერიტორიაზე (ნაკვეთი 03/363) არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.72.14.094.328; N01.72.14.004.098; N01.72.14.004.494; N01.72.14.057.052; N01.72.14.152.780; N01.72.14.152.779; N01.72.14.004.1003; N01.72.14.057.036; N01.72.14.057.035; N01.72.14.057.053; N01.72.14.004.495; N01.72.14.094.327) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

49. „ქალაქ თბილისში, მირიან მეფის ქუჩა N1ა; ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი, N1-N1ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.10.06.011.045; N01.10.06.011.098; N01.10.06.011.075-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

50. „ქალაქ თბილისში, გლდანში, ავშნიანში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.57.001.009) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

51. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, 26 მაისის მოედნის და აკაკი ჩხენკელის სკვერთან არსებული უსახელო სკვერისთვის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის ნოე რამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

52. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გურამ გაბისკირიას ქუჩისთვის საქართველოს ეროვნული გმირის გურამ გაბესკირიას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

53. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, საბარგოს დასახლების XII შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის დიმიტრი კორახაშვილის ქუჩის და დიმიტრი კორახაშვილის I, II და III ჩიხების სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

54. „ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ბორის პაიჭაძის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის 13 მაისის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 სექტემბრის N447 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

55. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, კედარის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის კედარის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

56. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ შინდისში, მიხეილ ჯავახიშვილის I შესახვევის მონაკვეთისთვის და იოსებ მანსვეტაშვილის I შესახვევისთვის მიხეილ ჯავახიშვილის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

57. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მძლეოსნის, ოლიმპიური ჩემპიონის ვიქტორ სანეევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

58. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დიმიტრი არაყიშვილისა და ზაქარია ფალიაშვილის ქუჩებთან არსებული უსახელო სკვერისთვის ფრანგი პოლიტიკოსის და სახელმწიფო მოღვაწის რობერ შუმანის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

59. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, შოთა მიქაბაძის ქუჩისთვის სპორტსმენის, ფეხბურთელის სერგო კოტრიკაძის სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

მომხრე - 45

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლუკა ძაძამიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ. აღნიშნა, რომ ლუკა ძაძამიამ პირადი განცხადებით ითხოვა საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა. აქვე განმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, გატარებული იქნა ყველა საჭირო პროცედურა და შესაბამისად, საჭიროა საკრებულომ ცნობად მიიღოს ლუკა ძაძამიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

ზურაბ აბაშიძემ აღნიშნა, რომ ლუკა ძაძამია არის გამორჩეული ახალგაზრდა, რომელიც შემოუერთდა დედაქალაქის საკრებულოს, თუმცა, თავისი სურვილით, მიიღო გადაწყვეტილება, მოღვაწეობა განაგრძოს სხვა სფეროში. აქვე აღნიშნა, რომ მან ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, როგორც ნიჭიერმა ადამიანმა, მაღლობა გადაუხადა საკრებულოში გატარებული დროისთვის და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლუკა ძაძამიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ საკითხი ცნობად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის, შენიშვნებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერისთვის დაბრუნების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და აღნიშნა, რომ 2026 წლის ბიუჯეტი, 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით, გაზრდილია თითქმის 100000000 ლარით და მისი საწყისი მოცულობა განსაზღვრულია 2082000000 ლარით, რაც პრიორიტეტების მიხედვით გადანაწილებულია შემდეგნაირად: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 656000000 ლარი; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა-ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 278500000 ლარი; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება-გაუმჯობესება - 292700000 ლარი; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 3000000 ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 47500000 ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურების უზრუნველყოფა - 182300000 ლარი; განათლების მიმართულება - 300600000 ლარი; კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულება - 50500000 ლარი; საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების მიმართულება - 13000000 ლარი; თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 257500000 ლარი.

გიორგი გვენეტაძემ ისაუბრა სუბსიდიებზე და განაცხადა: „ჩემთვის სუბსიდიები ბოროტებაა, იმიტომ, რომ ადამიანების ერთ ჯგუფს ვართმევთ ფულს და მცირე ჯგუფებს ვუნაწილებთ. თან ისე გამოდის, რომ ეფექტიან ადამიანებს - ვინც დოვლათს ქმნის, ბიზნესში იქნება ის თუ ზოგადად დასაქმებულ ადამიანს ვართმევთ ფულს და ნაკლებად ეფექტურ ადამიანებს, ვისაც არ შეუძლიათ კონკურენტული ბიზნესის კეთება, მათ ვუხდით“. დაინტერესდა, რამდენად შესაძლებელია ამ თანხების დახარჯვა სხვაგვარად, თუნდაც ისე, რომ შემცირებულიყო გადასახადები ან უფრო მეტი თანხა დაგვეტოვებინა ხალხისთვის დასახარჯად და ნაკლები მთავრობისთვის. მაგალითისთვის ისაუბრა საზოგადოებრივი ტრანსპორტის სუბსიდირებაზე და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით ყოველდღიურად გათვალისწინებულია 1300000 ლარამდე, თუმცა, ბევრი ის ადამიანი, ვისთვისაც გამოყოფილია ხსენებული თანხა, არ სარგებლობს ან ნაკლებად სარგებლობს, ხოლო ზოგი მათგანი ყოველდღიურად სარგებლობს საზოგადოებრივი ტრანსპორტით. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, უკეთესი ხომ არ იქნებოდა ეს თანხა თანაბრად გაგვენაწილებინა ამ ადამიანებზე, რათა თავად ჰქონდეთ საშუალება გადაწყვიტონ, რაში დახარჯონ თანხა და აქვე, დაინტერესდა უფიქრია თუ არა ამ თემაზე ხელისუფლებას და თუ უფიქრია, მაშინ რა არგუმენტი აქვთ მიდგომის წინააღმდეგ.

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა ისაუბრა ავარიულ შენობებში მაცხოვრებელთა უსაფრთხოებაზე, აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ამ მიმართულებით გამოყოფილია 7000000 ლარი, რომელსაც შესაძლებელია დაემატოს კიდევ 7000000 ლარი, თუმცა, მისი თქმით, არც გაორმაგებული თანხა იქნება საკმარისი ამ პრობლემის მოსაგვარებლად და დააყენა ინიციატივა, რომ 2026 წლის ბიუჯეტში, ავარიული შენობების გამაგრების პროგრამის დაფინანსება გაიზარდოს 50000000 ლარამდე და ყოველ მომდევნო წელს, პრობლემის საბოლოო მოგვარებამდე, გაორმაგდეს თანხა. აქვე, ისაუბრა პარტიის „ლელო - ძლიერი საქართველო“ მეორე ინიციატივაზე, რომელიც უკავშირდება ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დაფინანსების გაზრდას. მისი თქმით, ამ მიმართულებით გამოყოფილი თანხა შარშანდელთან შედარებით ცოტა შემცირებულია, თუმცა, პრობლემა კვლავ აქტუალურია დედაქალაქის მოსახლეობისთვის. შესაბამისად, საჭიროა უფრო სისტემური და ფუნდამენტური მიდგომა, რაც მოითხოვს დამატებით თანხებს და იმისათვის, რომ უფრო სიღრმისეულად მიეხედოს ამ პრობლემას, ფიქრობს, რომ ამ მიმართულებით არსებული ბიუჯეტი უნდა გასამმაგდეს.

გიორგი დოხტურიშვილმა ისაუბრა ავარიულ კორპუსებზე და განაცხადა, რომ მათი ჩანაცვლების პროგრამა, კახა კალაძის ინიციატივით, დაიწყო 2017 წელს და ამ მიმართულებით გამოყოფილი იყო 25000000 ლარი, თუმცა, თანხა დარჩა აუთვისებელი იქიდან გამომდინარე, რომ ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის ჩანაცვლებას სჭირდება მაცხოვრებლების 100%-ის მზაობა. ხოლო რაც შეეხება ავარიული სახლების გამაგრებას, მათი

დიდი ნაწილი ისეთ მდგომარეობაშია, რომ ესაჭიროება არა გამაგრება, არამედ ჩანაცვლება და შესაბამისად, გამაგრებაში თანხის დახარჯვა მიზანშეწონილი არ არის.

ნიკოლოზ კახეთელიძემ განაცხადა, რომ ბიუჯეტი არის გარკვეული ფუნქციის და სტრუქტურის მატარებელი და როდესაც ვამბობთ, რომ რომელიმე მიმართულებით უნდა გავზარდოთ დაფინანსება 50000000 მილიონამდე, უნდა დასახელდეს, რატომ. რადგან ნებისმიერი ციფრის უკან არის სამუშაოს მოცულობა და ასევე, უნდა ითქვას, საიდან უნდა მოვიტანოთ ან რას უნდა მოვაკლოთ ეს თანხა.

ვახტანგ სურგულაძემ აღნიშნა, რომ ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის მიერ გაჟღერებული ინიციატივების გარდა, „ლელო - ძლიერი საქართველოს“ წარმომადგენლებს აქვთ ორი ინიციატივა, მათ შორის, ერთი არის სკოლებში, I-IV კლასებში, კვების შემოღება, რაც, რა თქმა უნდა, არ გამოვა პირველი იანვრიდან, მაგრამ შესაძლებელია იმაზე მუშაობა, რომ პროგრამა განხორციელდეს შემდეგი სასწავლო წლიდან, რადგან, საქართველოს მასშტაბით, სკოლის მოსწავლეების 35% ვერ იღებს კვებას სკოლაში, რის გამოც „PISA“-ს კვლევის თანახმად, ძალიან ცუდი შედეგები გვაქვს, როგორც წაკითხული ტექსტის გაგებაში, ასევე, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში. აქვე აღნიშნა, რომ მართალია სკოლები არ არის მუნიციპალიტეტის კომპეტენცია, მაგრამ არც საავადმყოფოები ეკუთვნის ქალაქს, თუმცა, ჯანდაცვის მიმართულებით მუნიციპალიტეტი ახორციელებს ძალიან კარგ პროგრამებს. მეორე ინიციატივა ეხება უფასო სასადილოებს, სადაც დაფინანსება კვლავ 1.70 ლარია იმ ფონზე, როდესაც გასულ წლებთან შედარებით, ყველაფრის ფასები გაზრდილია და როდესაც თანხის მომატებაზე პასუხი არის ის, რომ ბენეფიციარები არ დადიან სასადილოებში, უნდა გავარკვიოთ რატომ არ დადიან და გავზარდოთ მომსახურების ღირებულება, რათა რეალურად ჯანმრთელი და ჯანსაღი კვება მიიღონ იმ ადამიანებმა, ვისაც ეს მართლა სჭირდება.

ბექა დავითულიანი გამოეხმაურა ვახტანგ სურგულაძის გამოსვლას და სკოლებში კვების შემოღებაზე აღნიშნა, რომ ეს თემა არ არის თბილისის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი აწუხებს ძალიან ბევრ ადამიანს და არაერთი მსჯელობა ყოფილა ცენტრალურ ხელისუფლებაში. მისი თქმით, არის რიგი პრობლემები, რის გამოც აღნიშნული ვერ ხერხდებოდა, მათ შორის, ხელმისაწვდომობა და თანაბრობა - რამდენად შესაძლებელი იქნება სოფლის სკოლების მომარაგება იმავე პროდუქტებით, როგორებიცაა ქალაქის სკოლების. აქვე აღნიშნა, რომ მართალია ეს თემა განათლების სამინისტროს პრეროგატივაა და მუნიციპალიტეტი პირდაპირ ვერ ჩაერევა, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ საკითხი აქტუალურია, არაფორმალურად, რეკომენდაციის სახით, შესაძლებელია მსჯელობა. უფასო სასადილოების მიმართულებით გამოყოფილ თანხაზე განაცხადა, რომ დაფინანსების გაზრდა არ არის პრობლემა, თუმცა, სპეციალისტების მიერ დადგენილია კალორაჟი, რომელსაც ტენდერში მონაწილე სუბიექტები, გარკვეული სქემებით, აკეთებენ ამ ფასში და შესაბამისად, თანხის გაზრდის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ შესაძლებელია კონკრეტული ადამიანები სტაბილურად არ სარგებლობენ უფასო სასადილოს მომსახურებით, მაგრამ, თუნდაც კვირაში ერთხელ რომ დასჭირდეთ და მივიდნენ, მშვირები არ უნდა დარჩნენ.

ბექა მიქაუტაძე გამოეხმაურა ვახტანგ სურგულაძის გამოსვლას და უფასო სასადილოების დაფინანსების გაზრდასთან გაკეთებულ განცხადებაზე აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით ჩატარდა ფასთა კვლევები, რის საფუძველზეც გამოცხადდა ტენდერი და იქიდან გამომდინარე, რომ ხელოვნურად თანხის მომატება არაკანონიერია, მუნიციპალიტეტი ვერ განახორციელებს ტექნიკურ და მექანიკურ ჩარევას. ხოლო სკოლებში კვების დაფინანსებაზე განაცხადა, რომ აღნიშნული, რა თქმა უნდა, ყველას აწუხებს, თუმცა, ის არ არის საკრებულოს კომპეტენცია და თუ საკითხი დელეგირებული იქნება თვითმმართველობაზე, მუნიციპალიტეტი, ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, იმსჯელებს ამ თემაზე.

გაიოზ თალაკვაძემ, დასმულ შეკითხვებთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ რამდენიმე მათგანს უპასუხეს საკრებულოს წევრებმა და შესაბამისად, განმარტებები გააკეთა ცხოველთა

მონიტორინგის და სუბსიდიის მიმართულებით დასმულ კითხვებზე. განაცხადა, რომ ცხოველთა მონიტორინგის მიმართულებით, ფაქტობრივად გაზრდილია მიმდინარე ხარჯები იქიდან გამომდინარე, რომ წლევეანდელ ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო გლდანის ახალი თავშესაფრის მშენებლობის კაპიტალური ხარჯები, რაც მომავალ წელს აღარ იქნება საჭირო, რადგან თავშესაფრის მშენებლობა დასრულებულია. შესაბამისად, სააგენტოს ხარჯები ოთხმაგდება და ამასთანავე, დაგეგმილია კიდევ 2.5 მილიონი ლარით გაზრდა. სუბსიდიებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ბიუჯეტში არის კონკრეტული მუხლი, რომლის დაფინანსება მთლიანობაში შეადგენს 920000000 ლარს და ამ მუხლში შედის „თბილსერვის ჯგუფის“, „ეკო სერვისის“, ტრანსპორტის კომპანიის და ბაღების სუბსიდია. აქვე განმარტა, რომ „თბილსერვის ჯგუფს“ დაფინანსება ეძლევა ქალაქში დასუფთავების სამუშაოები განსახორციელებლად, „ეკო სერვისის“ - გამწვანების მოვლა-პატრონობისთვის და ა.შ. შესაბამისად, ეკონომიკური, კლასიკური გაგებით, რომელიმე ჯგუფის სუბსიდირება არ ხდება.

ლევან არველაძემ ისაუბრა თბილისის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტზე და აღნიშნა, რომ რამდენიმე საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს ბიუჯეტი შემცირებულია, რაც არ შესაბამეა სიმართლეს, რადგან ბიუჯეტის საერთო მოცულობა განისაზღვრა 2082000000 ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით, გაზრდილია 99000000 ლარით. მასში ასახულია ისეთი დიდი პროექტები, როგორებიცაა: რუსთაველის გამზირის რეაბილიტაცია, ტრამვაის ხაზის მშენებლობა დიდი დიდიდან დიდუბის მიმართულებით, ბაღების მშენებლობა, სულხან-საბა ორბელიანის და ინგოროყვას ქუჩებზე მდებარე შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია და სხვა. ზოგადად, 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი ნამდვილად პასუხობს დედაქალაქში არსებულ გამოწვევებს და მორგებულია მოქალაქეების კეთილდღეობაზე. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ დღეს, ბიუჯეტის პროექტი, საკრებულოს რეკომენდაციებთან ერთად, დაუბრუნდება თბილისის მერიას და დარწმუნებულია, რომ დეკემბერში საკრებულოში შემოვა კიდევ უფრო გაზრდილი ბიუჯეტი, სადაც ასახული იქნება საკრებულოს მიერ გაცემული რეკომენდაციები.

ზურაბ აბაშიძემ აღნიშნა, რომ 2026 წლის ბიუჯეტი იზრდება დაახლოებით 100000000 ლარით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მიმართული იქნება ჩვენი შემდგომი ტენდენციების ზრდისკენ და ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ დედაქალაქის მერის და საკრებულოს წევრების მიერ წინასაარჩევნოდ გაცემული დაპირებები, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, ეტაპობრივად შესრულდება.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 43

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

3. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის N11-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ქეთევან კანდელაკიშვილმა და განმარტა, რომ წესის დღეს მოქმედი რედაქციის თანახმად, ტერიტორიაზე არსებული ხილ-კენკროვანი მწვანე ნარგავების მოჭრა და გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 12 სანტიმეტრზე მეტი დიამეტრის მქონე თხუთმეტი და მეტი ხილ-კენკროვანი მწვანე ნარგავის მოჭრას. სამსახურის მიერ მოწვეული იქნა კომისია, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ დარგის სპეციალისტები და ამ კომისიის რეკომენდაციით შემუშავდა პროექტით წარმოდგენილი ცვლილება, რომლის თანახმად, თუ დაინტერესებული პირის ინტერესში იქნება ტერიტორიაზე მოჭრას თუნდაც ერთი, 12 სანტიმეტრზე მეტი

დიაგნოზის მქონე ხილ-კენკროვანი მწვანე ნარგავი, ის დაექვემდებარება სანებართვო პირობებს. აღნიშნული კომისიის რეკომენდაციით შემუშავდა ასევე, მეორე ცვლილებაც, კერძოდ, კომისიამ შექმნა ინვაზიური სახეობის იმ მწვანე ნარგავების სია, რომლებიც საკმაოდ ქაოტურად ამოდის და იზრდება თბილისის ტერიტორიაზე, მათ შორის: ხემყალა, აკაცია, თუთა და სხვა, რომლებიც თუ არ იქნება 12 სანტიმეტრზე მეტი დიაგნოზის, არ ჩაითვლება 25%-იან შეზღუდვაში, თუმცა, დაექვემდებარება სანებართვო პირობებს. ამასთანავე, პროექტით წარმოდგენილია ცვლილება, რომელიც ეხება ექსპერტების რეგისტრაციის წესის გამკაცრებას, კერძოდ, დღეს არსებული რეგულაციით, ექსპერტები, ბაზაში დასარეგისტრირებლად, გადიან მხოლოდ გასაუბრებას, ხოლო წარმოდგენილი ცვლილებით, გასაუბრებამდე დადგინდება ტესტირების ეტაპი და იმ შემთხვევაში, თუ ბაზაში დარეგისტრირებული ექსპერტი ვერ გადალახავს რომელიმე ეტაპს, ამოირიცხება ბაზიდან.

დავით ფანჯაკიძემ განაცხადა, რომ მისი აზრით, გარემოსდაცვითი ღონისძიებები გატანილი უნდა იქნას კერძო საკუთრების არეალიდან და ზოგადად, მუნიციპალიტეტმა უნდა იმომაროს იმ მიმართულებით, რომ მესაკუთრეს, მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე უნდა მოეხსნას არათუ ხილ-კენკროვანი, არამედ ნებისმიერი სახის ხის მოჭრა-გადარგვასთან დაკავშირებული ყველანაირი შეზღუდვა, რადგან აღნიშნული პირდაპირ კერძო საკუთრების შეზღუდვაა. ამასთანავე, არსებული რეგულაციებიდან გამომდინარე, როგორც მესაკუთრე, ასევე, მუნიციპალიტეტი ძალიან ბევრ დროს კარგავს ისეთი ელემენტარული საკითხის გადაწყვეტაში, როგორიცაა ხის მოჭრა-გადარგვა. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ თუ საზოგადოებას გვეძვირფასება რაიმე ხე, გადავრგათ ის საზოგადოებრივ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, ხოლო კერძო საკუთრებაში ვის რა სახეობის ხე ექნება, ეს მხოლოდ მისი გადასაწყვეტი უნდა იყოს.

ბექა დავითულიანი გამოეხმაურა დავით ფანჯაკიძის გამოსვლას, აღნიშნა, რომ შესაძლებელია კერძო საკუთრებაში დარეგისტრირებული აღმოჩნდეს, პირობითად, წყნეთის ტყის ტერიტორია, სადაც დარგულია ხეები და ადევს სატყეო ზონა და მიმართა მას: „ამ შემთხვევაში, არ შევეკითხოთ? გაჩეხოს თუ უნდა და ჩადგას ცემენტის ქარხანა?“ ამასთანავე, როდესაც საუბარია იმაზე, რომ გარემოსდაცვითი ღონისძიებების მიმართულებით მუნიციპალიტეტი არ უნდა ჩაერიოს კერძო საკუთრებაში, უნდა ითქვას, რომ ამ ლოგიკით, ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია საკუთრებაში არსებული სახლის ადგილას ააშენოს ცემენტის ქარხანა, რაც ასევე გარემოსდაცვითი საკითხია და დაინტერესდა „მუნიციპალიტეტმა უნდა მისცეს ამის უფლება?“

დავით ფანჯაკიძე გამოეხმაურა ბექა დავითულიანის გამოსვლას და განაცხადა: „თუ რამე გვეძვირფასება, ის არ გავყიდოთ და იყოს საზოგადოებრივი საკუთრება და თუ უკვე გაყიდულია, მაშინ მესაკუთრეს შევთავაზოთ ალტერნატივა და მოვუნაცვლოთ ტერიტორია“. აქვე აღნიშნა, რომ თუ ადამიანს სატყეო ზონით აქვს ნაყიდი ესა თუ ის ტერიტორია, იქ არ ექნება მშენებლობის უფლება და შესაბამისად, არც ამის მოთხოვნა ექნება. ამ შემთხვევაში, საუბარია არა ტყის ტერიტორიაზე, არამედ იმაზე, რომ ადამიანს, მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მის მიერვე დარგული ხის მოჭრის უფლებას არ აძლევენ.

კონსტანტინე ზარნაძემ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე, რეგულაციები მსუბუქდება ისეთი სახის ხეებზე, რომლებიც ქაოტურად ვითარდება და ისინი აღარ მოყვებიან 25%-იან შეზღუდვაში, რათა კერძო მესაკუთრეებს არ შეექმნათ პრობლემები მათ მოჭრასთან დაკავშირებით. აქვე აღნიშნა, რომ ბაგებიდან წყნეთამდე, კონკრეტულად კაკლების ტერიტორიამდე, უდიდესი სივრცე არის კერძო საკუთრებაში და მესაკუთრეები დღემდე ითხოვენ განაშენიანების უფლების მიცემას. ამასთანავე, იყო ისეთი ფაქტებიც, როდესაც მოსახლეობა ხელოვნურად წვავდა, ჩეხავდა და ანადგურებდა ტაბახმელა-წავკისის მხარეს არსებულ ტყეებს. მისი თქმით, მუნიციპალიტეტი ვალდებულია გაუფრთხილდეს „იმ ფილტვებს, რომელიც ამ ქალაქს შემორჩა“ და შეიმუშაოს რეგულაციები, რათა ქაოტურად არ მოხდეს ხე-მცენარეების გაჩეხვა-განადგურება და აქედან გამომდინარე, დაიტოვა აღნიშნული საკითხის მაკონტროლებელი ბერკეტი. საუბრის ბოლოს, კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ, ამ ეტაპზე, რეგულაციები მსუბუქდება კერძო მესაკუთრეების მომართვიანობის მიხედვით და განაცხადა, რომ საკრებულოს გარემოს

დაცვის კომისია მზად არის განიხილოს ნებისმიერი ინიციატივა და, გარემოს დაცვის სამსახურთან ერთად, იმსჯელოს ისეთი ცვლილებების განხორციელებაზე, რომლებიც ამსუბუქებს გარკვეული კატეგორიის ხეების მოჭრის ვალდებულებას.

ნიკოლოზ კახეთელიძემ განაცხადა, რომ ამ რეგულაციების გარეშე, თბილისში მწვანე საფარი არ იარსებებდა და არასწორია ამ თემის გადაყვანა კერძო საკუთრების კატეგორიაში, რადგან ამ ლოგიკით, გამოდის, რომ ადამიანს, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, გარდა ხის მოჭრისა, შეუძლია ააშენოს ის, რაც უნდა. მისი თქმით, მუნიციპალური სამსახურების მხრიდან, იხარჯება, როგორც ფიზიკური, ასევე, ფინანსური რესურსები იმისთვის, რომ მოუარონ და გადაარჩინონ ტყის საფარი. გასაგებია, რომ დეველოპერების გარკვეულ ნაწილს აწუხებს ეს მიმართულება, რადგან უნდათ აითვისონ რაც შეიძლება დიდი ტერიტორიები და აწარმოონ მშენებლობები, მაგრამ არ შეიძლება ამ ორი თემის გაიგივება, რადგან ეს არის სერიოზული პრობლემა.

გიორგი გვენეტაძემ განაცხადა, რომ არაფერ შუაშია ტყეების გადაწვისა და განადგურების მაგალითების მოყვანა, რადგან ძალიან ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როგორც ერთი, ასევე, მეორე მხრიდან. აღნიშნა, რომ, მუნიციპალიტეტი, პრინციპის დონეზე, უნდა შეთანხმდეს იმაზე, გადააყოლებს თუ არა ხეების მოჭრის რეგულაციებს კერძო საკუთრების უფლებას და განაცხადა, რომ მისი აზრით, მთავარია, ქვეყანაში დაცული იყოს კერძო საკუთრების უფლება, რადგან ის არის უზენაესი უფლება ხეებთან და ცხოველებთან მიმართებაში და სწორედ მასზე დგას ყველაფერი. აქვე, გამოეხმაურა ნიკოლოზ კახეთელიძის განცხადებას, რომ რეგულაციების გარეშე თბილისში არ იარსებებდა მწვანე საფარი და განაცხადა, რომ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ეს რეგულაციები არ არსებობდა, თუმცა, ტყეებიც გადარჩენილია და არც ჩვენს წინაპრებს გადაუწვავთ და გაუნადგურებიათ მწვანე საფარი და შესაბამისად, რამდენიმე ათწლეულის ან ასი წლის წინ მოგონებულ რეგულაციებს ვერ დავაბრალებთ ტყეების გადარჩენას.

გურამ ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ პარტია „გირჩის“ წარმომადგენლების შენიშვნა და მტკიცება ეფუძნება ძალიან მცდარ ამოსავალ წერტილს, რომ საკუთრების უფლება არის აბსოლუტური, რაც ამოდის იქიდან, რომ ინდივიდი უნდა იყოს აბსოლუტურად თავისუფალი და შემდეგ ეს გადმოაქვთ სახელმწიფო მოწყობაშიც. მისი თქმით, ის, რომ რეგულაციები უნდა გავრცელდეს მხოლოდ საზოგადოებრივ ტერიტორიებზე და კერძო ქონებაზე ადამიანს უნდა შეეძლოს ააშენოს ის, რაც უნდა, მცდარი დაშვებაა და ეს პოზიცია ვერ იქნება გაზიარებული, რადგან ადამიანი ცხოვრობს საზოგადოებაში და მასზეც ვრცელდება მთელი რიგი შეზღუდვები. აქვე, აღნიშნა, რომ პარტია „ლელო - ძლიერი საქართველო“, თბილისის სიახლოვეს დაგეგმილი უმსხვილესი ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებით, აწარმოებს „ქსენოფობიურ და ფაშისტურ“ კამპანიას, რომლის ფარგლებშიც, საზოგადოებას აწვდის მცდარ ინფორმაციას, თითქოს იგეგმება „არაბიზაცია“ და ვინმე „ზურგზე მოიკიდებს და წაიღებს“ მიწის ნაკვეთს და მიმართა მის წარმომადგენლებს: „თქვენ პირადად, საკრებულოში წარმოდგენილი წევრები, უერთდებით თუ არა სრულად ამ კამპანიას ანუ გაქვთ თუ არა სრული თანხვედრა და ერთობა თქვენს პარტიასთან ამ ნაწილში... საკრებულოში, შემდგომ პერიოდში, უამრავი საკითხი იქნება ამასთან დაკავშირებით განსახილველი და აპირებთ თუ არა, იგივენაირად გააგრძელოთ პოზიციის დაცვა აქაც?“

გიორგი გვენეტაძე გამოეხმაურა გურამ ნიკოლაშვილის გამოსვლას და აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმება იმ მოსაზრებაში, რომ კერძო საკუთრების უფლებაზე უფრო მნიშვნელოვანია ჩინოვნიკების უფლება რომ რაღაცები აუკრძალოს ხალხს ან დაურეგულიროს ცხოვრება, თუმცა, საკრებულოს სხდომა არ არის ის ადგილი, სადაც უნდა მოხდეს ამ საკითხის განხილვა და მზად არის ნებისმიერ სხვა ფორმატში ისაუბროს იმაზე, რა უფრო მნიშვნელოვანია - ჩინოვნიკის უფლება არეგულიროს ადამიანი თუ კერძო საკუთრების უფლება.

ბექა ოდიშარიამ ისაუბრა კომპანია „Eagle Hills“-ის მიერ განსახორციელებელ ინვესტიციაზე და განაცხადა: „მე არ მსმენია ასეთი მტრობა საკუთარი ქვეყნის და თან ისეთი არგუმენტებით,

რომელიც მოწყვლად საზოგადოებას ამძიმებს და უქმნის შთაბეჭდილებას, რომ ხორციელდება ვერაგული ჩანაფიქრი“. მისი თმით, ანალოგიური კამპანია იყო „ჰუალინგის“ მშენებლობის დროსაც - იცხოვრებდნენ სულ ჩინელები და თბილისი გადაიქცეოდა „ჩინეთის ერთ-ერთ მხარედ“, თუმცა, ყველა ვხედავთ, რომ აშენებულია არაჩვეულებრივი კვარტალი, სადაც ცხოვრობენ ქართველები. ასევე, იგივე ხდებოდა 1990-იან წლებში, როდესაც ავსტრიული კომპანია, ძველ თბილისში, აშენებდა სასტუმროს, თუმცა, დღეს, ის არის ქართული სასტუმრო. გამოეხმაურა პარტია „გირჩის“ წარმომადგენლების გამოსვლებს და აღნიშნა, რომ სამწუხაროდ, საკუთრების უფლება არ არის აბსოლუტური - თუ კერძო საკუთრებაში არის სასარგებლო წიაღისეული, ის არის სახელმწიფოსი, რომელიც თუ მოინდომებს, საბაზრო ფასში გამოისყიდის. აქედან გამომდინარე, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე რეგულაციების გავრცელების საკითხს უნდა მივუდგეთ რაციონალურად - მაგალითად, როგორ შეიძლება ჩანაცვლდეს თუთის ხე. აქვე აღნიშნა, რომ ეს საკითხი აწუხებს ძალიან ბევრ ადამიანს და ამიტომ, უმჯობესი იქნება, საკრებულოს წევრებმა, შესაბამის სამსახურებთან ერთად, სხვა ფორმატში, იმსჯელონ თუ რა შეიძლება გაკეთდეს ამ მიმართულებით.

ბექა დავითულიანმა განაცხადა, რომ პარტია „გირჩის“ მიდგომა და მისი პოლიტიკური ღირებულებები არის ისეთი, რომ სურთ, კერძო საკუთრების უფლება იყოს აბსოლუტური, ხოლო სახელისუფლებო გუნდს აქვს განსხვავებული იდეოლოგია. თუმცა, თუ მივალთ ისეთ კომპრომისამდე, რომ კერძო საკუთრებაში, რაღაც ტიპის ხეებზე მივცეთ დამატებით რაიმე შეღავათი, შესაძლებელია ვიმსჯელოთ ამაზე, თუმცა, არა საკრებულოს სხდომის, არამედ სხვა ფორმატში.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბექა დავითულიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის N13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა გიორგი კობიაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით ზუსტდება სააგენტოს სტრუქტურა და დებულებაში ემატება სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების სამსახურების ხელმძღვანელების მოადგილეების პოზიცია და გაიწერება მათი უფლებამოსილებები.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბექა დავითულიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 4

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

5. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლება N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.009.038.01.507) არსებული უმრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა გიორგი კობიაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია

სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად, 43 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2012 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბექა დავითულიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

6. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3 მიკრო რაიონის კორპუსი N30-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.024.009.01.526) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა გიორგი კობიაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად, 45 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 1992 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბექა დავითულიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 41

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

7. „ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა N62-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.006.003.01.543) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა გიორგი კობიაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად, 28 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2012 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბექა დავითულიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

